# განმარტებითი ბარათი
# „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანოპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება გამოწვეულია სოციალური მუშაკის რეგულირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

ამ კანონის მიზანია სხვადასხვა კანონებში სოციალური მუშაკის განმარტების განსხვავებული მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანოპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის თანახმად, სოციალური მუშაკი ამოღებულია რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული დამატებით საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანოპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანოპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს იმ პირთა ფინანსური მდგომარეობის შეცვლას, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანოპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსზღვრის წესი:

კანოპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისი სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანოპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შეთანხმებულია ყველა დაინტერესებულ უწყებასთან.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორია: საქართველოს შრომის, ჯანმრელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.